



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიდი გარეჯვარი

დიდი გარეჯვარი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის კარალეთის თემში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. აჭურის (მეჯუდის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 660 მ, გორიდან 7,5 კმ. 768 მცხ. (2002).

სოფლის შუაგულში დგას გვიანდ. შუა საუკ. ღვთისმშობლის ეკლესია; ნაგებია რიყის ქვით, კუთხეები და კარ-სარკმელი გამოყვანილია აგურით. აღმ-ით აქვს ნახევარწრიული აფსიდი, გადახურული იყო კამარით. სამხრ. ფასადზე, აგურის წყობით გამოსახულია მაღალი ჯვარი, გვერდებზე განლაგებული ჩაღრმავებული რომბებით.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990.

ჭ. გვასალია
